ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №39

ქ.თეთრიწყარო 05 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ – ააიპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორი ნატალია ბეგიაშვილი (შემდეგში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ – შპს "ეტალონი"-ს დირექტორი თნგიზ ფილიშვილი (პ/რ -01017007760) (შემდგომში „შემსრულებელი“) ვდებთ ხელშეკრულებას შემდგომზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ააიპ „ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი"-ში შემავალ 11 საბავშვო ბაღში სასმელი წყლის ნიმუშის აღება და მიკრო ბიოლოგიური ანალიზი (CVP- 73111000-1.)

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება (გადასახადების გათვალისწინებით) შეადგენს 1300 (ათას სამასი) ლარი და 00 თეთრი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

3.1 „შემსრულებელი“ ვალდებულია: „სკოლამდელი აღზრდის ცენტრ“-ში შეასრულოს მოთხოვნა , შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღეში.

3.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია: მოახდინოს გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების გზით. შესაბამისად გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ანგარიშსწორება:

4.1 „შემსყიდველის“ მიერ „მომწოდებლისათვის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულებების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებითა და ვადებში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა:

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „შემსრულებელი“ ჯარიმდება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ით, იგივე პუნქტი ვრცელდება „შემსყიდველზე“.

6. მიღება–ჩაბარების წესი:

6.1 მიღება - ჩაბარების აქტი გაფორმდება სამუშაოს შესრულების შემდეგ.

7. ფორს-მაჟორი:

7.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, შეიარაღებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

8.1 ხელშეკრულება შეიძლება დაირღვეს:

— მხარეთა შეთანხმებით;

— ფორს-მაჟორული სიტუაციით;

— ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტით, რაც შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9. დავის გადაწყვეტა:

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

10.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 05 სექტემბრიდან 2016წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართი:

„შემყიდველი“

ა.ა.ი.პ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორი
ნატალია ბეგიაშვილი
ა/ა GE24 NB0330100200165022
სს„ლიბერთი ბანკი“ თეთრიწყარო
ს/კ 230869539

„შემსრულებელი“

შპს "ეტალონი" დირექტორი
თნგიზ ფილიშვილი
ანგ/№ GE73BG0000000116674200
სს"საქართველოს ბანკი“ ფილიალი
ს/კ 200141612

12. მხარეთა ხელმოწერები: